საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური
SERVICE OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი; გ. გულუას ქ.ნ., ტელ.: 72 72 60

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე

№ —59—

"—23—" —08— 2010 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – „ასფალტის წარმოება";
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – ს.ს. „კავკასავტომაგისტრალი" საგარეჯოს რ-ნი, თბილისი-ლაგოდეხის 36 კმ
3. განხორციელების ადგილი – ქ. ჭიათურა, საჩხერის ქ. №2
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 02.08.2010წ;
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – ი.მ ზაალ მოძმანაშვილი

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილება

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ს.ს „კავკასიავტომაგისტრალი"-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ.ჭიათურაში, საჩხერის ქ. №2-ში მდებარე ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, არ არის განხილული საწარმოს განთავსებისა და ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტები, რადგან საწარმო ფუნქციონირებს გასული საუკუნის 80–იანი წლებიდან.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად:

საწარმო საკუთრებაში ფლობს მიწის ნაკვეთს, სადაც განთავსებულია საქმიანი ეზო, არსებული დანადგარებით და მოწყობილობებით. საწარმოს ტერიტორიაზე არსებობს ასფალტის და ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი დანადგარები, ბიტუმის და სხვა ნავთობპროდუქტების მიმღები რეზერვუარები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ობიექტი მდებარეობს დაუსახლებელ ტერიტორიაზე. ელექტროენერგიით მომარაგებას უზრუნველყოფს არსებული ხაზები. ტერიტორია დაფარული არ არის ნიადაგის ნაყოფიერი ფენით და ხე-მცენარეებით. საწარმო მდებარეობს მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირიდან, 40 მეტრის დაშორებით.

საწარმოში დამონტაჟებულია ДС-117-2Е ტიპის ასფალტის დანადგარი, რომლის საპროექტო წარმადობა შეადგენს 35 ტ/სთ-ს. დანადგარი განკუთვნილია სხვადასხვა ასფალტის ნარევის მოსამზადებლად, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას საავტომობილო გზის მშენებლობაში. ასფალტის დანადგარი მუშაობს მაზუთის საწვავზე. საწარმოში დამონტაჟებულია, აგრეთვე, მაზუთზე მომუშავე Е-1/9 ტიპის ორთქლის ქვაბი, რომლისგან მიღებული სითბო განკუთვნილია რკინიგზის ცისტერნებით შემოტანილი ბითუმის გასაცხელებლად მისი ბიტუმსაცავში განსათავსებლად, აგრეთვე ბიტუმსაცავის გასაცხელებლად. საწარმო წელიწადში გამოუშვებს 56000 ტონა ასფალტს, რომელთა შორის ნახევარი იქნება II მარკის „ა" ტიპის ცხელი, წვრილმარცვლოვანი, მკვრივი ასფალტბეტონის საავტომობილო გზის საფარის ზედა ფენის მოსაწყობად, ხოლო მეორე ნახევარი იქნება II მარკის, ცხელი, მსხვილმარცვლოვანი, ფორიანი ასფალტბეტონი საავტომობილო გზის საფარის ქვედა ფენის მოსაწყობად. 56000 ტ ასფალტის წარმოებისათვის საწარმო გამოიყენებს 23072 ტ ქვიშას, 26768 ტ ღორღს, 2968 ტ ბიტუმს და 3192 ტ მინერალურ ფხვნილს.

საწარმოში ნედლეული (ქვიშა-ღორღი) შემოაქვთ ავტომანქანების საშუალებით და იყრება ინერტული მასალების საწყობში, საიდანაც ინერტული მასალები ჯერ მიეწოდება ინერტული მასალების მიმღებ ბუნკერს, რომლიდანაც შემდგომ ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება ასფალტის დანადგარის ინერტული მასალების საშრობ დოლში. ამ პროცესს თან სდევს მტვრის მნიშვნელოვანი რაოდენობით წარმოქმნა. მტვერდამჭერებით გამოცალკევებული მინერალური მტვერი გადაიტანება სპეციალურ საცავში, საიდანაც ისევ მიეწოდება შემრევ მოწყობილობას. გაცხელებული და გამომშრალი მასალა მიეწოდება ცხავებზე, სადაც ხდება მათი ფრაქციებად დაყოფა. შემდგომ, სპეციალურ სასწორებზე წარმოებს მასალის დოზირება წინასწარი მოცემული რეცეპტის მიხედვით და აწონილი მასალა იყრება ამრევ ბუნკერში, სადაც მიეწოდება წინასწარ გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი და მინერალური ფხვნილი. არევის პროცესის დასრულების შემდეგ

პროდუქცია გადადის ჩასატვირთ-განსატვირთ ბუნკერში, საიდანაც მზა პროდუქცია ავტოტრანსპორტით მიეწოდება მომხმარებელს.

საწარმოში ბიტუმი შემოდის რკინიგზის ცისტერნების საშუალებით და თავსდება ბიტუმსაცავ ორმოში. რკინიგზის ცისტერნებისა და ბიტუმსაცავ ორმოში ბიტუმის გაცხელება მისი თხევად მდგომარეობაში გადასაყვანად ხორციელდება საქვაბეში გამომუშავებული ორთქლის ხარჯზე. შემდეგ ბიტუმსაცავიდან ბიტუმი გადადის ჯერ ბიტუმის შუალედურ რეზერვუარებში (3 ცალი, თითოეული 10 მ³ ტევადობის), ხოლო შემდგომ გადაიქანება ბიტუმსახარშ რეზერვუარში (8 მ³ ტევადობის), სადაც ხდება მისი გაუწყლოება და მუშა ტემპერატურამდე გაცხელება მაზუთის წვის შედეგად მიღებული სითბოს ხარჯზე.

საწარმოში მაზუთი შემოაქვთ ავტოცისტერნების საშუალებით და თავსდება ორ მიწისზედა, თითოეული 10 მ³ ტევადობის მაზუთის რეზერვუარში. აქედან მაზუთი მიეწოდება ორ შუალედურ მაზუთის რეზერვუარს (თითოეული 5 მ³ ტევადობის), საიდანაც შემდგომ მაზუთი მიეწოდება საშრობ დოლს გასახურებლად. საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 10 მ³ ტევადობის დიზელის საწვავის რეზერვუარი, რომელიც ემსახურება საკუთარი ავტომანქანებისა და ავტოკარების დიზელის საწვავით გამართვას. წლიური ხარჯი შეადგენს 100 მ³ დიზელის საწვავს. საწარმოში მინერალური ფხვნილი შემოდის ავტომანქანების საშუალებით, რომელიც თავსდება სილოსში.

საწარმოს ტერიტორიაზე ჩატარდა რადიაციული კვლევა. ДБГ – 01Н მარკის მიკროორენტგენომეტრის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს ჯამური რადიაციული გამოსხივება. ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე რადიაციული ფონი შეადგენს 13-15 მკრ/სთ-ში. დასაშვები ნორმაა 60 მკრ/სთ-ში. გაზომვების შედეგებიდან გამომდინარე საპროექტო ტერიტორიაზე რადიაციული ფონი დასაშვებ სიდიდეზე ბევრად მცირეა და მომუშავე ადამიანებისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

საწარმოს ექსპლუატაციის დროს, გარემოზე მავნე ზემოქმედება ექნება ასფალტის დამამზადებელ კვანძს, საქვაბეს, მასალების შესანახ რეზერვუარებს და საწყობებს. მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების გაფრქვევა და ხმაური. ხოლო სანიაღვრე წყლების შემკრებიდან, დამატებით შეწონილი ნაწილაკების ჩაშვება წყალსადინარში.

საწარმოს ექსპლუატაციის დროს შესაძლებელია შემდეგი სახის ნარჩენების წარმოქმნა, კერძოდ: სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, სახიფათო და ტექნოლოგიური ნარჩენები. დაზიანებული, დემონტაჟირებული მასალები, მუყაოს და პოლიმერული ნარჩენები გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. შავი და ფერადი ლითონის ნარჩენები ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება სპეციალურ, დახურულ კონტეინერში, რომლის დაცლას და გატანას უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალური დასუფთავების სამსახური შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სახიფათო ნარჩენები, კერძოდ: ვადაგასული აკუმულატორები, ნახმარი ზეთები, საცხებ-საპოხი მასალები, ფილტრები, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სარემონტო სამუშაოებისას წარმოქმნილი ლაქ-საღებავების ნარჩენები შეიძლება წარმოქმნას საწარმოს ექსპლუატაციის დროს. სახიფათო ნარჩენების მისაღებად გათვალისწინებულია სპეციალური 1,5-2 მ³ მოცულობის სამ სექციანი დახურული ლითონის რეზერვუარი. აღნიშნული ნარჩენების გადაცემა შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება იმ

საწარმოებზე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მოქმედი კანონმდებლობი
შესაბამისად, აწარმოოს საშიში ქიმიური ნარჩენების ხელახალი გადამუშავება (უტილიზაცია.

საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში, განხორციელდება ნარჩენები კლასიფიკაცია და აღრიცხვა, ასევე მოხდება ნარჩენების განთავსების, ხელახალ გამოყენების, უტილიზაციის და გატანის პროცესების ორგანიზება.

ტექნოლოგიურ პროცესში წყალი გამოიყენება საქვაბეში ორთქლი მისაღებად, რომელიც თავის მხრივ გამოიყენება რკინიგზის ვაგონების გასათბობად ბიტუმის ჩამოტვირთვისას და ბიტუმის ღია რეზერვუარში ბიტუმის გასათბობად მისი შემდგომი გადატვირთვის დროს. წყლის აღება ხდება მდ. ყვირილადან საქვაბეში წყლის წლიური საპროექტო ხარჯი შეადგენს 2000 მ³. საქვაბესთ დამონტაჟებულია 10 მ³-ი მოცულობის წყლის ავზი, საიდანაც უშუალოდ ხდება წყლის მიწოდება საქვაბეში. იგივე რეზერვუარი გამოიყენება ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების წყლის შესანახად. საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალ საწარმოში შემაქვთ გადასატანი ჭურჭელით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან. საწარმოო დანიშნულების (ხანძარსაწინააღმდეგო ქსელში გამოყენებული წყლის ჩათვლით) წყლის მთლიანი რაოდენობა შეადგენს 2070 მ³-ს.

საწარმოო დანიშნულების ჩამდინარე წყლები საწარმოში არ არის. ტერიტორიიდან მდინარეში ჩაედინება მხოლოდ სანიაღვრე წყლები. სანიაღვრე ჩამდინარე წყლები დაბინძურებულია შეწონილი ნაწილაკებით, იგეგმება ჰორიზონტალური სალექარის მოწყობა. ამიტომ ამ წყლების გაკამკამება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე პრიმიტიულ, ჰორიზონტალურ სალექარში, რომლის წარმადობა იქნება 50 მ³/დღ. სალექარის გაელის შემდეგ ჩამდინარე წყლის ჩაშვება ხდება მდ. ყვირილაში. საწარმოში მოეწყობა ამოსაწმენდი ორმო, საიდანაც პერიოდულად მოხდება გატანა საასენიზაციო ავტომანქანებით.

ინვესტორის მიერ საქმიანობის შეწყვეტა არ იგეგმება. გზშ ანგარიშის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ შეწყდება საქმიანობა და წარმოიშვა საწარმოს ლიკვიდაციის აუცილებლობა, დამატებით შემუშავდება სალიკვიდაციო, რეკულტივაციის და აღდგენითი ღონისძიებების გეგმა.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია: გარემოზე და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შესამცირებელი ღონისძიებები; გარემოსდაცვითი მონიტორინგის ორგანიზაცია; სოციალური ფაქტორების რეგულირების ღონისძიებები; ტექნოლოგიური ავარიების თავიდან აცილების უსაფრთხოების ზომები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში საექსპერტო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის მესამე თავს.

III. პირობები

1. საწარმოს ხელმძღვანელობამ საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის პირობებში უზრუნველყოს:
   - საწარმოოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგი) წარმოება;
   - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
   - საწარმოს მოწყობის, ექსპლუატაციის და ლიკვიდაციის დროს წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, აღრიცხვა და დროებით უსაფრთხოდ განთავსება;
   - წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების, გადამუშავების ან გაუვნებლობის მიზნით შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე გადაცემა.
2. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ შესრულდეს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნები, რეკომენდაციები და ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.
3. საწარმოს ხელმძღვანელობამ 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ჰორიზონტალური სალექარის მოწყობა სანიაღვრე წყლების გაწმენდისათვის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმატივების პროექტი.
4. საწარმოს ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნას ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა.

IV. დასკვნა

ს.ს. "კავკასავტომაგისტრალი"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი (ჭიათურაში საჩხერის ქ. №2-ში) ასფალტის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსი:
ნიკოლოზ ჭახნაკია
(სახელი,გვარი)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-434

ქ. თბილისი "25" 08 2010 წ.

სს „კავკასავტომაგისტრალი"-ზე – ქ. ჭიათურაში ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ' ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს სს „კავკასავტომაგისტრალი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა– ქ. ჭიათურაში ასფალტის საწარმოზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№ 7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №59; 23.08.2010წ ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს.

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000056

კოდი M D 1 " 25 " " 08 " 2010 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი სს „კავკასიავტომაგისტრალი"

2. საქმიანობის მიზანი ასფალტის წარმოება

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქ. ფიათიონა
სახიონის ქ. N2

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია ი.მ. ზაალ მოძმანაშვილი

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების
შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა
N59; 23.08.2010 წ

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით
გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების
უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურის უფროსი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) ზიაოლინ ჯახნაია

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 10-2419

შპს
"გლ ინვესტი"

LTD
"GL INVEST"

№ 45

25. მარტი 2015 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრს
ბ-ნ, ელგუჯა ხოკრიშვილს

ს.ს. "კავკასავტომაგისტრალი"-ს გენ. დირექტორის ირინე მარშანიას და
შ.პ.ს. "გლ ინვესტი"-ს დირექტორის ზვიად გაფრინდაშვილის

ერთობლივი განცხადება

ბატონო ელგუჯა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, 2010 წლის 25 აგვისტოს, სს "კავკასავტომაგისტრალ"-ზე გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000056, ჭიათურის მუნიციპალიტეტში საჩხერის გზატკეცილი №12-ში ასფალტის წარმოებაზე.

გვსურს ზემოხსენებული ნებართვა საკუთრებაში გადაეცეს შ.პ.ს. "გლ ინვესტ"-ს.

შ.პ.ს. "გლ ინვესტი" (ს.კ. 205276360) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა, შეასრულოს და დაიცვას ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რასაც ვაწერთ ხელს.

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 5617
"31" 03 2015

პატივისცემით,

ს.ს. "კავკასავტომაგისტრალი"-ს გენ. დირექტორი ი. მარშანია

შ.პ.ს. "გლ ინვესტი"-ს დირექტორი ზ. გაფრინდაშვილი

თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა №12
ტელ: 597 39 84 84

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060157434707515

ბრძანება №-251

ქ. თბილისი

14 / აპრილი / 2015 წ.

სს „კავკასავტომაგისტრალი“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „გლ ინვესტი“-ზე გადაცემის შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის'' შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „კავკასავტომაგისტრალი“-ს ასფალტის წარმოებაზე (ქ. ჭიათურა, საჩხერის ქ. №2) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „გლ ინვესტი“-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2010 წლის 23 აგვისტოს №59 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „კავკასავტომაგისტრალი“-სა და შპს „გლ ინვესტი“-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს „კავკასავტომაგისტრალი“-ზე 2010 წლის 25 აგვისტოს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000056;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „კავკასავტომაგისტრალი“-სა და შპს „გლ ინვესტი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სს „კავკასავტომაგისტრალი“-სა და შპს „გლ ინვესტი“-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი — მაია ბითაძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000139

კოდი MD1 „14" „04" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „გლი ინვესტი"

2. საქმიანობის მიზანი
ასფალტის წარმოება

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ქ. ბათუმი, სასრხეების ქ. №2.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
ი/მ ზაზა მიქაბერიძე

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №59; 23.08.2010.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ოფიციალური თანამდებობა
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ბ.ა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-156

ქ. თბილისი

02/02/2021

შპს „გლ ინვესტის“ ასფალტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს სამინისტროს მომართა შპს „გლ ინვესტის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ სს „კავკასავტომაგისტრალის“ ასფალტის წარმოებაზე (ქ. ჭიათურა, საჩხერის ქ. №2) გაიცა №59 (23.08.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2015 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე სს „კავკასავტომაგისტრალზე“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს „გლ ინვესტს“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2010 წლის №59 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „სს „კავკასავტომაგისტრალი“-ზე - ქ. ჭიათურაში ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №ი-434 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2010 წლის №59 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „გლ ინვესტის“ ასფალტის წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №59; 23.08.2010);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „კავკასავტომაგისტრალი“-ზე - ქ. ჭიათურაში ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №ი-434 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გლ ინვესტს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გლ ინვესტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი